WWW.APA.GOV.GE

დაცული ტერიტორიების სააგენტო
AGENCY OF PROTECTED AREAS

• სასწავლო პროგრამა •

რეინჯერების გზამკვლევი

GO RANGERS!

WWW.APA.GOV.GE

დაცული ტერიტორიების სააგენტო
AGENCY OF PROTECTED AREAS

ISSUE NO. 3 | OCT. 2020

რეინჯერების გზამკვლევი

საქართველოს რეინჯერების საგანმანათლებლო პროგრამა

მიმოხილვა

პროგრამის შესახებ

შემოთავაზებული მოდული განკუთვნილია საქართველოს დაცული ტერიტორიების რეინჯერებისთვის და წარმოადგენს შემეცნებით-საგანმანათლებლო მასალას. ის დაფუძნებულია იმ სამართლებრივ დოკუმენტებზე. რომელიც მოქმედია დაცული ტერიტორიების მმართველობის
სფეროში და არეგულირებს რეინჯერთა საქმიანობას. მოდულში ასახული ინფორმაცია პოპულარული ენით და გამარტივებული სახით გადმოსცემს რეინჯერების უფლება-მოვალეობათა მნიშვნელოვან ასპექტებს. აღნიშნულ საკითხებზე დამატებითი დეტალური ინფორმაციის მისაღებად აუცილებელია, რეინჯერი უშუალოდ გაეცნოს შესაბამის საკანონდებლო და მარეგულირებელ დოკუმენტებს.

პროგრამის მოდულები:

დოკუმენტი შედგება რამდენიმე მოდულისაგან. იხილეთ ჩამონათვალი შემდეგ გვერდზე.

WWW.APA.GOV.GE
დაცული ტერიტორიების სააგენტო
AGENCY OF PROTECTED AREAS

რეინჯერების გზამკვლევი

პროგრამის მოდულები

1. ინფორმაცია დაცული ტერიტორიების შესახებ
2. ინფორმაცია რეინჯერის უფლება-მოვალეობების შესახებ
3. ოქმის შევსების პროცედურები
4. კანონაღსრულება;

- თევზჭერა
- ნადირობა
- ძოვება
- ხე-ტყის მოპოვება
- ტყეკაფის მონიშვნა და გამოყოფა
- წარმოშობის დოკუმენტი, მისი შევსებისა და გაცემის წესი
- უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყის აღრიცხვა და ზიანის გაანაგარიშება
- ტყით სარგებლობის სახეები

5. დარღვევის ტიპები (ადმინისტრაციული თუ სისხლის სამართალი)

საქართველოს დაცული ტერიტორიები

ზოგადი მიმოხილვა

დაცული ტერიტორიების შექმნის ძირითადი მიზანია ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი ფასეულობის - დამახასიათებელი უნიკალური, იშვიათი ეკოსისტემებების, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა, ასევე, ბუნებრივი რესურსების მდგრადი მოხმარების ხელშეწყობა. „საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ ქმნის დაცული ტერიტორიების დაარსებისა და მართვისთვის სამართლებრივ ჩარჩოს და ადგენს ზოგად პრინციპებს. დაცული ტერიტორიები ამ კანონის მიხედვით 6 კატეგორისაა: სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია. მათ შორის განსხავებას განსაზღვრავს აღნიშნული კანონის IV-IX მუხლები. თითოეული კატეგორიის დაცული ტერიტორიის შექმნა ხდება საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე, რომელიც არეგულირებს კონკრეტული დაცული ტერიტორიის დაარსებისა და გამოყენების სამართლებრივ საფუძვლებს.
2021 წლის მდგომარეობით, საქართველოში IUCN-ის კრიტერიუმების მიხედვით 6 სხვადასხვა კატეგორიის 94 დაცული ტერიტორიაა, კერძოდ: 14 სახელმწიფო ნაკრძალი, 13 ეროვნული პარკი, 40 ბუნების ძეგლი, 23 აღკვეთილი, 3 დაცული ლანდშაფტი და 1 მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია.



საქართველოს დაცულ ტერიტორიებს მართავს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო. დაცული ტერიტორი(ებ)ის სამართავად სააგენტო ქმნის ტერიტორიულ ადმინისტრაციას. ერთი ტერიტორიული ადმინისტრაცია შეიძლება მართვდეს მხოლოდ ერთი კატეგორიის დაცულ ტერიტორიას ან რამოდენიმეს ერთად. ეს განისაზღვრება მუნიციპალიტეტში ან რეგიონში სხვადასხვა კატეგორიის სიმრავლიდან გამომდინარე. 2020 წლის მონაცემებით, დაცული ტერიტორიების ეფექტურად მართვისთვის სააგენტოს დაქვემდებარებაშია 20 ტერიტორიული ადმინისტრაცია.

საქართველოს დაცული ტერიტორიები

ზოგადი მიმოხილვა

ტერიტორიული ადმინისტრაციები, როგორც წესი, დაყოფილია დაცვის და ადმინისტრაციულ განყოფილებებად. მათ ხელმძღვანელობს ადმინისტრაციის დირექტორი.



დღეის მდგომარეობით ერთ ადმინისტრაციას ასევე ჰყავს დაცვის განყოფილების უფროსის მოადგილე, ხოლო ზოგიერთ დაცულ ტერიტორიას, სადაც ტურიზმი ნაკლებადაა განვითარებული, მხოლოდ დაცვის განყოფილება აქვს.

ტერიტორიული ადმინისტრაციული სტრუქტურა

რეინჯერის ძირითადი ფუნქცია-მოვალეობაა ბუნერივი ფასეულობის დაცვა-მოვლა-აღდგენა, რაც პირველ რიგში გულისხმობს ტყის ფიზიკურ დაცვას. რეინჯერი ატარებს:
ტყის დაცვის ღონისძიებებს;
პათოლოგიურ გამოკვლევებს;
ბუნებრივი რესურსების ინვენტარიზაციას;
კონსერვაციისა და აღდგენით საქმიანობებს;
რესურსებით სარგებლობისათვის გათვალისწინებულ ქმედებებს;
სამაშველო საქმიანობებს;
ტერიტორიაზე მყოფ ვიზიტორთა კონტროლს და სხვა.
ზოგიერთი დაცული ტერიტორია დაყოფილია უბნებად, უბნები კი სარეინჯეროებად. უბანს, რომელშიც გაერთიანებულია რამდენიმე სარეინჯერო, ჰყავს უფროსი რეინჯერი. იგი ანგარიშვალდებულია დაცვის განყოფილების უფროსის წინაშე. რეინჯერები სამოქმედო ტერიტორიის დაცვაზე, პროფესიული საქმიანობის წარმართვაზე და კანონაღსრულებაზე არიან პასუხისმგებლები.
დაცული ტერიტორიები ძირითადად იმართებიან მენეჯმენტის გეგმის საფუძველზე. თუ დაცულ ტერიტორიას არ აქვს მსგავსი გეგმა (შემუშავების პროცესშია, ვადა გაუვიდა და ა.შ) მაშინ ტერიტორია იმართება დროებითი რეგულირების წესით. 2020 წლის მონაცემებით 13 დაცულ ტერიტორიას აქვს მენეჯმენტის გეგმა.

რა არის მენეჯმენტის გეგმა?

მენეჯმენტის გეგმა და დროებითი რეგულირების წესი თითოეულ დაცულ ტერიტორიაზე განსაზღვრავს: რესურსების მართვას, კანონაღსრულებას, კვლევა-მონიტორინგის საქმიანობას, ვიზიტორთა მომსახურებას, ეკოგანათლებას, ინფრასტრუქტურის განვითარებას. ასევე, აწესებს ქცევის წესებს, გვთავაზობს დაშვებულ საქმიანობათა ჩამონათვალს და აწესრიგებს რესურსებით გამოყენების სამართლებრივ საკითხებს. მენეჯმენტის გეგმით ან დროებითი რეგულირების წესით განსაზღვრულია, ყოველ კონკრეტულ დაცულ ტერიტორიებზე რა სახის აქტივობა ან ბუნებრივი რესურსის მოპავებაა დაშვებული. იმ შემთხვევაში თუ ქმედება მენეჯმენტის გეგმით/დროებითი რეგულირების წესებით ნებადართული არ არის, ის იწვევს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით ან ნარჩენების მართვის კოდექსით სახდელის დაკისრებას. თუ სამარღალდაღვევის ნიშნები შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, ამ შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოები ატარებენ მოკვლევას, ხოლო სასამართლო ადგენს პირის ბრალეულობის საკითხს. მენეჯმენტის გეგმას და დროებითი რეგულირების წესს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

დაცვის განყოფილების ფუნქციები მათზე დაქვემდებარებულ დაცულ ტერიტორიებზე

- ტერიტორიებისა და ქონების დაცვა. კანონმდებლობის დაცვის კონტროლი
- კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში იძულების ღონისძიებების გამოყენება
- სამართალდამრღვევთა შესახებ ოქმის შედგენა და რეაგირებისთვის შესაბამისი ორგანოსთვის გადაცემა
- კომპეტენციისა და კანონის ფარგლებში ტყის დაცვითი ღონისძიებების გატარება
- საგანგებო მდგომარეობის დროს გადაუდებელ ღონისძიებათა პროექტის შემუშავება და საჭიროების შემთხვევაში განხორციელება;
- ტყით სარგებლობის უბნების ნატურაში განსაზღვრა, ოდენობის დაანგარიშება, გამოყოფა, დადამღვა, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება
- ბუნებრივი რესურსების სარგებლობაზე და ჩადენილ სამართალდარღვევათა შესახებ შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა;
- საკადასტრო სამუშაოების და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება;
- დადგენილი წესის შესაბამისად, წელიწადში ორჯერ გეგმიური და საკონტროლო რევიზიის ჩატარება; წელიწადში ერთხელ ტყის პათოლოგიური გამოკვლევების ჩატარება;
- კვლევა-მონიტორინგის სამუშაოთა განხორციელება;
- კონსერვაციისა და აღდგენითი ღონისძიებების ორგანიზება და განხორციელება;
- დაცული ტერიტორიების განვითარების საგეგმო სამუშაოების განხორციელების ორგანიზება და მათი ხელშეწყობა;
- ბუნებრივი რესურსების ინვენტარიზაციის სამუშაოების ორგანიზების ხელშეწყობა და ამ სამუშაოებში მონაწილეობა;
- მუდმივი სანიმუშო ფართობების მოწყობაში მონაწილეობა და ამ ფართობებზე დაკვირვებების წარმოება;
- ეკოლოგიური განათლების პროგრამების ორგანიზება და განხორციელება;
- ბუნების მატიანის შედგენა და სააგენტოში წარდგენა, ასევე ყოველწლიური სამეცნიერო საქმიანობის კოორდინაცია და ორგანიზება.

რეინჯერი

ზემოთ ჩამოთვლილი საქმიანობების და მენეჯმენტის გეგმით/დროებითი რეგულირების წესით დადგენილი სხვა წესების შესრულებაზე პასუხისმგებელი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლაია - რეინჯერი.

მასზე დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად ის თავის სამოქმედო ტერიტორიაზე ყოველდღიურად პატრულირებს (ფეხით, ცხენით, მანქანით, წყლის სატრანსპორტო საშუალებებით) და დარღვევის აღმოჩენისას, იწყებს კანონმდებლობის შესაბამისად რეაგირებს.

ზოგიერთ დაცულ ტერიტორიაზე რეინჯერის მოვალეობაში 24 საათიანი მორიგეობა (რეინჯერთა სადგურში ასეთის არსებობის შემთხვევაში), მთაში პატრულირება და ღამის თევა შედის. ასევე რეინჯერი უზრუნველყოფს თემთან ურთიერთობასა და ვიზიტორთა უსაფრთხო გადაადგილებას.

პატრულირება

როგორც წესი, დაცული ტერიტორიების დაცის განყოფილება ყოველი წლის დასაწყისში, უფროს რეინჯერებთან და რეინჯერებთან ერთად ადგენს სამოქმედო ტერიტორიის ე.წ „ცხელი წერტილების“ რუკას. რუკა უნდა ასახავდეს გასულ წლებში მომხდარ სამართალდარღვევების სახეობებს, მათ სიხშირეს, სეზონურ თუ ტერიტორიულ განაწილებას, მაღალი საკონსერვაციო ღირებულების ტერიტორიებს, რომლებსაც განსაკუთრებული დაცვა სჭირდება. ეს რუკა რეინჯერების მიერ მოგროვებული მონაცემების საფუძველზე დგება და პატრულირებისას თავად რეინჯერებს უმარტივებს მუშაობას, რადგან მათ უკეთ იციან სად, როდის და რა საკითხებზე გაამახვილონ ყურადღება.

პატრულირების სისტემა დაცული ტერიტორიის კანონაღსრულების მთავარი ელემენტია. მნიშვნელოვანია კარგად გავერკვეთ თუ რა მიზნით და სტრატეგიით უნდა განხორციელდეს ის. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ ეფექტური პატრულირებისთვის აუცილებელია ის იყოს მასშტაბური, მიზანმიმართული და არაპროგნოზირებადი. პატრულირებას სხვადასხვა დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს: დაწყებული ადგილობრივ მოსახლეობასთან, მწყემსებთან თუ ვიზიტორებთან ეფექტური ურთიერთობის დამყარებით, დამთავრებული ბრაკონიერების აღმოჩენით თუ სხვა კანონდარღვევის პრევენციითა და აღკვეთით. ადგილზე არსებული საჭიროების შესაბამისად, ყოველდღიური პატრულირების სქემებს და მეთოდებს, ადგენს დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის სტრუტურაში არსებული დაცვის განყოფილება. განყოფილებას ევალება პატრულირების გეგმის შედგენა, რომელიც მტკიცდება ადმინისტრაციის დირექტორის ბრძანებით და სავალდებულო შესასრულებელი ხდება ყველა თანამშრომლისთვის.

პატრულირების დაგეგმვისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ პატრულირების მარშრუტი და დრო პერიოდულად უნდა შეიცვალოს, რადგან ის პროგნოზირებადი არ გახდეს პოტენციური დამრღვევებისთვის.

გარდა ამისა, აუცილებელია პატრულირების ტაქტიკის და მეთოდების ერთმანეთთან შენაცვლება.

.

პატრულირებისას რეინჯერს უნდა ეცვას ბუნებრივი პირობების, პატრულირების ჩატარების ადგილისა და დროის შესაბამისი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. ასევე თან ჰქონდეს სამსახურებრივი მოწმობა, სატაბელო იარაღი, ოქმების ბლანკები, ავტოკალამი და ბლოკნოტი. ღამის სამუშაოების ჩატარების დროს ფანარი და სხვა საჭირო მოწყობილობები. ინდივიდიალური აღჭურვილობის გარდა ჯგუფს უნდა გააჩნდეს რუკა ან ადგილმდებარეობის სქემა, ბინოკლი, ფოტოაპარატი, კომპასი ან GPS, ერთმანეთთან კავშირის საშუალებები, ნაპოვნი ნაკვალევისა და ამოღებული საგნების შესაფუთი მოწყობილობა, პირველადი სამედიცინო მოხმარების (მედიკამენტების) საველე აფთიაქი (შპაგატი, პოლიეთილენის პაკეტები და სხვა).

ჯგუფური პატრულირების დროს ინიშნება ჯგუფის უფროსი, როგორც წესი ყველაზე დიდი გამოცდილების მქონე რეინჯერი. მის ბრძანებებს და მითითებებს მკაცრად უნდა ასრულებდნენ ჯგუფის დანარჩენი წევრები, თუ, რა თქმა უნდა, ეს არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

რეინჯერის უსაფრთხოება და მოქალაქეებთან ურთიერთობა

რეინჯერს დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას უწევს გადაადგილება რთულ რელიეფსა და კლიმატურ პირობებში და ურთიერთობა იმ პირებთან, რომლებიც იმყოფებიან დაცულ ტერიტორიებზე.

პატრულების ფორმები

პერიმეტრის პატრულირება:

იგი გულისხმობს ტერიტორიაზე ადამიანების შესვლა-გამოსვლის კონტროლს, რაც საშუალებას გვაძლევს დამრღვევი მანამდე შევაჩეროთ, სანამ იგი კანონს დაარღვევს. ამ ტიპის პატრულირება ეფექტურია ისეთ ადგილებში, სადაც დაცულ ტერიტორიაზე შესასველელი წერტილი იდენტიფიცირებულია და სათანადო სამეთვალყურეო ტექნიკა და/ან სადგურია მოწყობილი.

ჯგუფური პატრულირება:

ჯგუფური პატრულირება: განსაკუთრებით ეფექტურ მეთოდს წარმოადგენს დაცული ტერიტორიების კანონმდებლობის დარღვევების გამოვლენისა და აღკვეთის ფაქტების საქმეში. მეთოდს აქვს ფსიქოლოგიური გავლენა კანონის დამრღვევზე. ის თრგუნავს დამრღვევის სურვილს, ნინააღმდეგობა გაუწიოს დაცვის ჯგუფის პატრულირებას. ჯგუფისთვის მარტივია დანაშაულის აღკვეთა და შემდგომი პროცედურების (იარაღის ჩამორთმევა, პიროვნების დადგენა, საჭიროების შემთხვევაში - დამრღვევის მიყვანა პოლიციის განყოფილებაში ან პოლიციის გამოძახება და ა.შ.).

რეიდის დროს ჯგუფი პირველ რიგში უნდა გამოვიკვლიოთ ნადირობისა და თევზის კონცენტრაციის ადგილებს.

ინდივიდუალური პატრულირება:

ეს მეთოდი გამოდგება ხაფანგების ყულფების და სხვა სანადირო და სათევზაო თვითნაკეთი საჭერების ამოღებისას, აგრეთვე ნაკლებადმნიშვნელოვანი დარღვევის პროფილაქტიკისათვის და ახსნა-განმარტებითი მუშაობისათვის. ინდივიდუალური შემოვლის მეთოდი ნაკლებად ეფექტურია როდესაც რეინჯერი დამრღვევთან პირისპირ აღმოჩნდება.

ტერიტორიის „გაცხრილვა“:

იგი გულისხმობს გაძლიერებული ჯგუფის მიერ საეჭვო ტერიტორიის სრულ დათვალიერებას. ეფექტურია იმ დროს, როცა გარკვეულ ტერიტორიაზე ხშირია რაიმე სახის არალეგალური საქმიანობა. ძებნა (დაზვერვა) წარმოადგენს მაძებარი ჯგუფის მოქმედებას, რომელიც მიმართულია იმ დამრღვევის აღმოჩენასა და დაკავებაზე, რომელთა ზუსტი ადგილსამყოფელი უცნობია.

პასიური პატრულირება:

ეფექტურია პასიური ინსპექტირება, რომელიც სრულდება საიდუმლო ჩასაფრებით. ჩასაფრება ხდება ხიდებთან, ნაკადულებზე, მდინარეებზე, თხრილებზე, გადასასვლელებზე, გზებზე და ბილიკებზე, როცა ტერიტორიაზე ერთი გზა მიდის, რომელსაც მუდმივად იყენებენ დამრღვევები.

შესაბამისად მნიშვნელოვანია, დაცული იყოს რეინჯერის პირადი უსაფრთხოება. რეინჯერი არ უნდა წავიდეს ისეთ რისკზე, რაც საფრთხეს შეუქმნის მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. მაგ., არ უნდა გადაადგილდებოდეს ისეთ გზებზე და ბილიკზე, სადაც არის ქვათცვენის საშიშროება, მეწყერული ზონები; წყალდიდობის დროს, მეორე ნაპირზე გასვლის მიზნით, არ უნდა შევიდეს ადიდებულ მდინარეში; ნისლში თუ თვალთახედვის არე არ არის, უნდა გაჩერდეს და არ უნდა გადაადგილდეს; ხის ჭრის დროს სწორად უნდა განსაზღვროს დგომის ადგილი და ა.შ. რეინჯერების უსაფრთხოებისთვის, პატრულირების დაწყებამდე (როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური) ჯგუფის უფროსი, აუცილებელად ატარებს ინსტრუქტაჟს. გარდა უსაფრთხოებისა ეს საჭიროა, რათა გააერთიანოს და შეათანხმოს ჯგუფის წევრების მოქმედებები დასახული ამოცანის შესრულებისათვის და უზრუნველყოს სამუშაოს ეფექტურობა.

დამრღვევთან ურთიერთობის დროს დაუშვებელია:

- ქედმაღლური ტონი და უხეშობა;
- დარღვევის არსის ირონიული და არათავაზიანი გადმოცემა;
- შეურაცხმყოფელი გამონათქვამების და რეპლიკების გამოყენება;
- უტაქტო ზნეობრივი დარიგება, საყვედურები და უსაფუძვლო დადანაშაულება;
- მუქარის სიტყვების, უხეში ჟესტების და მიმიკას გამოყენება.

აუცილებელია, მოქალაქეებთან და პოტენციურ სამართალდამრღვევებთან ურთიერთობისას რეინჯერმა შეინარჩუნოს თავაზიანობა და კორექტულობა, ესაუბროს მათ ოფიციალური საუბრის ტონით, დაიცვას დისტანცია და დროულად წარუდგინოს სამსახურეობრივი ბარათი.
უსაფრთხოების კუთხით მნიშვნელოვანია სიჩუმის დაცვა. შესაბამისად, გადაადგილების დროს არ არის რეკომენდირებული საუბარი. ღამით პატრულირებისას მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს ფანრის გამოყენება.
ჯგუფური გადაადგილებისას, პოტენციური დამრღვევების აღმოსაჩენად, მათი მდებარეობის, განლაგებისა და რაოდენობის უკეთ შესასწავლად ყალიბდება დაზვერვის ჯგუფი.

მაგალითი: დაზვერვის ჯგუფმა დაადგინა რომ დაცულ ტერიტორიებზე მყოფ პირებს აქვთ ცეცხსასროლი იარაღი, რომელიც დევს მანქანის კაბინაში. პატრულირების ჯგუფის უფროსმა გადაწყვიტა ჯერ დაედგინა მოქალაქის ვინაობა და შემდეგ მოეხდინა მისი განიარაღება.

როგორ ფიქრობთ რამდენად სწორად მოიქცა პატრულირების ჯგუფი?

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ თუ დამრღვევს აქვს ცეცხლსასროლი იარაღი, დაცვის განყოფილების თანამშრომელმა საკუთარი თავის წარდგენისთანავე დამრღვევს უნდა შესთავაზოს განიარაღება. დანარჩენი მოქმედებები (მაგალითად ოქმის შედგენა), კი შეასრულოს განიარაღების შემდეგ.

ოქმის შედგენა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაცულ ტერიტორიების საზღვრებში უკანონო ქმედებების გამოვლენა და მათზე რეაგირება ევალება დაცვის განყოფილებას. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, გამოვლენილ ადმინისტრაციულ დარღვევებზე დგება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.
ბუნებრივი რესურსების მოპოვების წესები დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმით ან დროებითი რეგულაციის წესით განისაზღვრება. თუკი მოქალაქე დაცულ ტერიტორიებზე უნებართვოდ და წესების დარღვევით გადაწყვეტს ბუნებრივი ფასეულობების, მათ შორის ხე-ტყის მოპოვებას, ეს კანონის დარღვევად ჩაითვლება. როგორც იცით, რეინჯერები დაცულ ტერიტორიებზე ყოველდღიურად პატრულირებენ, რისი ერთ-ერთი მიზანიც სწორედ კანონაღსრულებაა. თუკი ვინმე დაცულ ტერიტორიაზე ჩაიდენს მენეჯმენტის გეგმით/დროებითი რეგულაციის წესებით არანებადართულ ქმედებას, ან შესაბამისი დოკუმენტების გარეშე მოჭრის ხე-ტყეს, ამ შემთხვევაში რეინჯერი ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს.

ადამრღვევზე ოქმი უნდა შედგეს ყველა შემთხვევაში. თუკი გარემო პირობები არ იძლევა კანონდარმღვევის იდენტიფიცირების საშუალებას, შეიძლება პოლიციის გამოძახება ან დამრღვევის მიყვანა პოლიციის უახლოეს განყოფილებაში.

როგორ მოიქცეს რეინჯერი თუკი შეუძლებელია პირის იდენტიფიცირება, და პოლიციის გამოძახება გეოგრაფიული მდებარეობის გამო?

აუცილებელია ვიცოდეთ, რომ კანონდარღვევაზე ოქმი ყველა შემთხვევაში უნდა შედგეს სამართალდარღვევის ადგილზე. თუმცა გამონაკლის შემთვევაში, სხვადახვა მიზეზის გამო მისი შევსება შეუძლბელია. ამიტომ, რეინჯერი აგროვებს მტკიცებულებებს, იღებს ფოტოებს, რომელზეც ჩანს კანონდარღვევის ადგილი, კანონდარღვევის ფაქტი და თავად კანონდამრღვევი. ასეთ დროს, ადგილზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმის მაგივრად დგება საველე აქტი. მასში რეინჯერმა უნდა დააფიქსიროს აღმოჩენილი კანონდარღვევა და მისი აღმოჩენის გარემოებები. რაც არ უნდა დეტალური იყოს საველე აქტი, ის მაინც ვერ ჩაანაცვლებს სამართალდარღვევის ოქმს და რეინჯერმა ოქმი აუცილებლად უნდა შეადგინოს, როგორც კი მას ამის საშუალება მიეცემა.

საველე აქტი რაც შეიძლება მეტ ინფორმაციას უნდა შეიცავდეს, რომ მის საფუძველზე მოხდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვის ოქმის სრულფასოვნად შედგენა. გასათვალისწინებელია, რომ საველე აქტი, შეიძლება დაერთოს ოქმს როგორც მტკიცებულება.

საველე აქტის რეკვიზიტებია:

- შედგენის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);
- შედგენის ადგილი;
- შემდგენლის თანამდებობა, სახელი, გვარი;
- მონაცემები ყველა იმ პირის შესახებ ვინც ხელს აწერს აქტს;
- მონაცემები სამართალდამრღვევის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ფაქტობრივი მდგომარეობის აღწერა;
- ფოტოსურათი და სხვა ნივთმტკიცება;
- რეინჯერის ხელმოწერა;
- ჯგუფის მოქმედების აღწერა (ნადირობის, თევზაობისა და რეჟიმის დარღვევის დროს).

როგორ მოიქცეს რეინჯერი როცა სახეზეა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები?

თუ პატრულირების დროს რეინჯერი აღმოაჩენს ისეთ დარღვევას, რომელიც აშკარად შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, მან უნდა გამოიძახოს პოლიცია და ასევე აუცილებლად შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. ოქმში დეტალურად უნდა აღიწეროს ადგილზე არსებული ვითარება. შევსებული ოქმი შეიძლება გამოყენებულ იქნებს როგორც მტკიცებულება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ნაწილ-ნაწილ შევსება არ შეიძლება და ის ერთიანად უნდა შეივსოს ან კანონდარღვევის ადგილზე, თუ არის ამის შესაძლებლობა, ან ადმინისტრაციულ შენობაში.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში შესატანი მონაცემების რეკვიზიტები განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 240-ე მუხლის შესაბამისად. ეს რეკვიზიტებია:

- **ოქმის შედგენის ადგილი:**

ოქმის ამ ნაწილში იწერება უშუალოდ ოქმის შედგენის ადგილი, თუ ის სამართალდარღვევის ადგილზე ივსება სამართალდარვევის ადგილი (კონკრეტული უბნის, კვარტლის, გეოგრაფიული ობიექტის მითითებით), თუკი ადმინისტრაციულ შენობაში, მაშინ მიეთითება ადმინისტრაციის მისამართი.

დაუშვებელია ადმინისტრაციულ შენობაში შევსებისას ოქმის შედგენის ადგილად კანონდარღვევის ადგილი მეითითოს. ხოლო თუ ოქმი ივსება კანონდარღვევის ადგილზე უნდა მიეთითოს მაქსიმალუირად ზუსტი ადგილმდებარეობა, სხვადასხვა გეოგრაფიული პუნქტების მითითებით.

- **თარიღი:**

ამ ველში იწერება არა დარღვევის, არამედ უშუალოდ ოქმის შედგენის თარიღი.

განვიხილოთ მაგალითი:

რეინჯერმა 2020 წლის 10 დეკემბერს ლაგოდეხის აღკვეთილში აღმოაჩინა უკანონო ქმედება, ვერ დაადგინა დამრღვევის ვინაობა, ამიტომ ადგილზე შეადგინა საველე აქტი. დამრღვევის იდენტიფიცრება მოხდა 2020 წლის 11 დეკემბერს. რეინჯერმა ადმინისტრაციულ შენობაში 11 დეკემბერსვე შეადგინა ოქმი.

რა თარიღი და ადგილი უნდა მიუთითოს რეინჯერმა ოქმში?

რეინჯერმა უნდა მიუთითოს უშუალოდ ოქმის შედგენის ადგილი და თარიღი. ამ შემთხვევაში შეივსება შემდეგნაირად:

ადგილი: ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია

თარიღი: 2020 წლის 11 დეკემბერი.

- **ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონი:**

ამ ნაწილში რეინჯერი საკუთარი თავის შესახებ წერს, ოფიციალურ სახელს, გვარს, თანამდებობას, მისამართსა და ტელეფონს.

- **სამართალდამრღვევი:**

(მონაცემები სამართალდამრღვევის შესახებ: ფიზიკური პირის შემთხვევაში მიეთითება სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი №, საცხოვრებელი ადგილი)

ამ ველში ჩაწერილი ინფორმაცია სრულად უნდა შეესაბამებოდეს მის მოთხოვნებს, და კანონდარმღვევის შესახებ უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი №, საცხოვრებელი ადგილი;

აუცილებელია კანონდამრღვევის იდენტიფიცირება, პირადობის მოწმობით, პასპორტით, ან სხვა ოფიციალური მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტით. თუკი პირს არ აქვს მსგავსი დოკუმენტი, მისი ინდეტიფიცირების მიზნით შესაძლებელია პატრულის გამოძახება. რეინჯერი არ უნდა ენდოს კანონდამრღვევის ზეპირ განცხადებას. ისეთი გარემოების დროს,

როცა შეუძლებელია პატრულის გამოძახება დამრღვევის ადგილზე იდენტიფიცირების მიზნით, ნაცვლად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა რეინჯერმა უნდა შეადგინოს საველე აქტი.

- **იურიდიული პირის შემთხვევაში – მისი სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი, იურიდიული მისამართი:**

შესაძლებელია ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ჩამდენი აღმოჩნდეს იურიდიული პირი, ან მისი წარმომადგენელი. ასეთ დროს ივსება ეს ველი და მიეთითება მისი სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი, იურიდიული მისამართი.საიდენტიფიკაციო ნომრის დადგენა შესაძლებელია მეწარმეთა რეესტრში გადამოწმების შედეგად.

- **წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მონაცემები:**

როდესაც კანონდამრღვევი იურიდიული პირია, გარდა ზემოთა ველში ასახული ინფორმაციისა, უნდა მიეთითოს იურიდიული პირის დირექტორის ან მისი ოფიციალური წარმომადგენლის მონაცემები. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით ხელმძღვანელის კანონიერ წარმომადგენლად ჩაითვლება პირი, რომელსაც აქვს ოფიციალური მინდობილობა.

- **გამოვავლინე, რომ:**

(სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი)
ამ ველში იწერება ინფრომაცია იმის შესახებ, თუ რა გამოავლინა რეინჯერმა.
ეს ველი აუცილებლად დეტალურად და გულდასმით უნდა შეივსოს.
მასში უნდა აისახოს, მცირე დეტალებიც კი, მაგალითად: კონკრეტულად სად და როდის მოხდა კანონდარღვევა, რა არის კანონდარღვევის არსი, რა ვითარებაში აღმოაჩინა ის რეინჯერმა და ასე შემდეგ. აუცილებელია ადგილის აღნიშვნა, რაც შეიძლება ზუსტი ლოკაციის მითითებით, მაგალითად, GPS მოწყობილობის გამოყენებით.

- რაც არის: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის

ამ ველში მიეთითება საქართვლოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის ის მუხლი, რომელიც ითვალისწინებს გამოვლენილ დარღვევას. თუკი რეინჯერი ვერ ახერხებს ზუსტი მუხლის მითითებას, ამ შემთხვევაში, მან უნდა შეადგინოს საველე აქტი. ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეადგინოს ადმინისტრაციულ შენობაში. სავალდებულოა მუხლის მითითება მოხდეს მაქსიმალური სიზუსტით, ნაწილებისა და ქვეპუნქტების ჩათვლით.

- რაც არის: ნარჩენების მართვის კოდექსის

თუკი საქმე გვაქვს დაცული ტერიტორიების დანაგვიანებასთან, მაშინ, მიეთითება ნარჩენების კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი მუხლი. თუკი რეინჯერი ვერ ახერხებს ზუსტი მუხლის მითითებას, ამ შემთხვევაში მან უნდა შეადგინოს საველე აქტი. ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეადგინოს ადმინისტრაციულ შენობაში. სავალდებულოა მუხლის მითითება მოხდეს მაქსიმალური სიზუსტით, ნაწილებისა და ქვეპუნქტების ჩათვლით.

- **სამართალდამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.**

აუცილებელია სამართალდამრღვევს განემარტოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები, კერძოდ:

- გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი;
- საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით;
- გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით;
- გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება.
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება იმ პირის თანდასწრებით, რომელიც მიცემულია ადმინისტრაციულ პასუხისგებაში.
- ამ პირის დაუსწრებლად საქმე შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როცა არის ცნობა მისთვის საქმის განხილვის ადგილისა და დროის დროული შეტყობინების შესახებ და მისგან არ შემოსულა შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე.

- **სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება:**

ამ ველში რეინჯერმა უნდა ასახოს სამართალდამრღვევის მოსაზრებები და პოზიციები ყოველგვარი ძალდატანებისა და შელამაზების გარეშე.

- **მოწმეებს (მათი არსებობის შემთხვევაში) განემარტათ თავიანთი უფლება-მოვალეობები, გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 256-ე მუხლით.**
- **მოწმის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და მისამართი:**

თუკი შემთხვევას ჰყავს მოწმეები, აუცილებელია ოქმში დაფიქსირდეს მათი მონაცემები და განემარტოთ უფლება-მოვალეობები. რეინჯერმა მოწმეს უნდა აცნობოს, რომ შეიძლება გამოძახებულ იქნეს სასამართლოში და ის, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 256-ე მუხლის მიხედვით, იგი მოვალეა სასამართლოს გამოძახებით, გამოცხადდეს დანიშნულ დროს, აცნობოს რაც იცის საქმის შესახებ და უპასუხოს დასმულ კითხვებს. მოწმის შესახებ უნდა მიეთითოს ისეთი მონაცემები, როგორიცაა: სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და საცხოვრებელი მისამართი.

- **ჩამორთმეულ და დალუქულ იქნა შემდეგი ნივთები და დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

თუკი კანონდამრღვევს ჩამოერთმევა დარღვევის იარაღი, აუცილებელია რეინჯერმა დალუქოს ის და აღიწეროს ოქმის ამ ველში.

- **მოწმეები (თუ ისინი ესწრებიან) - ხელმოწერა:**

ოქმის ბოლო ნაწილში ფიქსირდება ხელმოწერები. მათ შორის მოწმეებისაც (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

- **ოქმის შემდგენელი - ხელმოწერა:**

ამ ნაწილში ხელმოწერას აფიქსირებს თავად რეინჯერი.

- **სამართალდამრღვევი - ხელმოწერა:**

თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი უარს იტყვის ოქმის ხელმოწერაზე, ოქმში კეთდება სათანადო ჩანაწერი. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს უფლება აქვს, წარმოადგინოს ოქმისათვის დასართავი ახსნა-განმარტება და შენიშვნები ოქმის შინაარსის გამო, აგრეთვე ჩამოაყალიბოს მის ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები.

- **ოქმის ერთი პირი მივიღე - ხელმოწერა:**

ამ ველში სამართალდამრღვევი აწერს ხელს, რომ მას ჩაბარდა ოქმის ერთი პირი/ ეგზემპლარი.

ოქმის შედგენისას გასათვალისწინებელი რეკომენდაციები:

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ივსება ლურჯი ან შავი ბურთულიანი კალმით;
- ოქმში ყველა ჩანაწერი სრულდება გარკვევით;
- დაუშვებელია ოქმში გადახაზვა, გადაშლა, გადაფხეკა და ა.შ. ოქმის დაზიანების ან მასში არასწორი მონაცემის შეტანის შემთხვევაში ივსება ახალი ოქმი. დაზიანებული ან არასწორად შევსებული ოქმი ჩამოიწერება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გახსოვდეთ, რომ ოქმის შედგენისას კანონდმარღვევის მხრიდან თქვენი უფლების განხორციელებისა და მოვალეობის შესრულებისათვის ხელის შეშლა – გამოიწვევს მის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით, ხოლო კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

კანონაღსრულება

დაცულ ტერიტორიებზე ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოვლენილი სამართალდარღვევების ანალიზის საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ ბიომრავალფეროვნების საფრთხეს წარმოადგენს ხე-ტყის უკანონო ჭრა, უკანონო ნადირობა, თევზაობა და უკანონო ძოვება. მოდით განვიხილოთ თითოეული მათგანი და მათთან დაკავშირებული კანონაღსრულების პროცედურები.

თევზჭერა

თითოეული დაცული ტერიტორიის კატეგორიაში თევზჭერა რეგულირდებამხოლოდ მენეჯმენტის გეგმით ან დროებითი რეგულირების წესებით. და თუ თევზჭერა რომელიმე ტერიტორიაზე დაიშვება, თევზჭერის წესებიც ამავე დოკუმენტებით განისაზღვრება.

რა ითვლება კანონიერ და უკანონო თევზჭერად?

- თევზჭერად ითვლება თევზის, წყლის უხერხემლოთა და ზღვის ძუძუმწოვართა მოპოვება თევზსაჭერი ან თევზსარეწი იარაღით, მოწყობილობით ან/და სხვა ხერხებითა და საშუალებებით. თევზჭერა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, იყოფა სახეებად. მაგალითად, სამოყვარულო და სპორტულ თევზჭერა და ა.შ

სამოყვარულო და სპორტულ თევზჭერად მიიჩნევა თევზჭერა, მხოლოდ, ყველა სისტემის და დასახელების ხელის ანკესით, სასროლი ბადით, ჩოგანბადითა და ხოლიხი ბადით, ასევე, წყალქვეშა ნადირობა და ჰიდრობიონტების შეგროვება, აკვალანგებისა და სხვა ავტონომიური სასუნთქი მოწყობილობების გარეშე.

- ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ, სპეციალური სარგებლობის ფორმით აწარმოონ სარეწაო თევზჭერა და წყლის უხერხემლოთა რეწვა თევზის მეურნეობის წყალსატევების სარეწაო უბნებზე დაცული ტერიტორიების გარეთ.
- სამოყვარულო, სპორტული თევზჭერა და წყლის უხერხემლოთა მოპოვება პირადი მოხმარების მიზნით შესაძლებელია საერთო სარგებლობის ყველა წყალსატევში, გარდა იმ წყალსატევებისა და წყალსატევთა უბნებისა, რომლებიც უჭირავთ ნაკრძალებს ან სპეციალური წყალსარგებლობის ობიექტებს (თევზის სანაშენეები, გუბურები, თევზის სხვა კულტურული მეურნეობები და ა. შ.). სპეციალური სარგებლობის ტერიტორიებზე თევზაობისთვის საჭიროა ამ ობიექტის მფლობელის ნებართვითა და მის მიერ დადგენილი საფასურის გადახდა.

სარეწაო უნაბი - ზედაპირული და ტერიტორიული ზღვის წყლები, რომლებიც გამოიყენება (შეიძლება გამოყენებულ იქნეს) თევზის ან სხვა წყლის ცხოველთა სამყაროს ობიექტების სარეწაო მოპოვებისათვის ან აქვს გარკვეული მნიშვნელობა მათი აღწარმოებისათვის, აგრეთვე საქართველოს კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის წყლები.

- აკრძალულია ზღვის ძუძუმწოვრებზე წყალქვეშა ნადირობა.
- ცალკეულ შემთხვევებში წყლის ცხოველთა სამყაროს ცალკეული ობიექტების სამოყვარულო და სპორტული თევზჭერა და უხერხემლოთა მოპოვება სამინისტროს გადაწყვეტილებით შეიძლება დაშვებული იქნეს მხოლოდ სპეციალური სარგებლობის ფორმით.

თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის წესები და აკრძალვები

სამოყვარულო და სპორტული თევზჭერისას დარღვევად ჩაითვლება თუკი:

- ხელის ანკესის ნემსკავების რაოდენობა აღემატება დაშვებულ ზღვარს. გასათვალისწინებელია, რომ სხვადასხვა სივრცეში განსხვავებული ნორმა მოქმედებს;
- გამოყენებულია ჩოგანბადის და ხოლიხი და სასროლი ბადე, რომელთა ზომა აღემატება დასაშვებ ზღვარს;
- ერთი მოყვარული მეთევზე იყენებს ერთზე მეტ სამოყვარულო-სპორტულ ბადეს;
- სამოყვარულო-სპორტული თევზსაჭერი საშუალებები წყალსატევში მუშა მდგომარეობაში არის დატოვებული;
- ორეულ ან სამეულ ნემსკავიან ანკესებს სატყუარის გარეშე იყენებენ.

მსგავსი კანონდარღვევა გამოიწვევს ქმედების ჩამდენი პირის დაჯარიმებას შესაბამისი წესით. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმით/დროებითი რეგულირების წესებით თევზჭერა აღნიშნულ ტერიტორიაზე საერთოდ არ დაიშვება, თევზჭერის შემთხვევის აღმოჩენისას რეინჯერი ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს.

ნადირობა

ნადირობა და ნადირობის ზოგადი წესები განსაზღვრულია **საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება №95-ით.**

ზოგადად ყველა კატეგორიის დაცულ ტერიტორიებზე აკრძალულია ნადირობა, გარდა იმ აღკვეთილებისა, რომელიც გაცემულია ლიცენზიით სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით.

კონკრეტულ დაცულ ტერიტორიაზე ნადირობის დაშვებას განსაზღვრავს კონკრეტული დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმა ან დროებითი რეგულირების წესი.

აღსანიშნავია, რომ გადამფრენ ფრინველებზე ნადირობა დაშვებულია დაცული ტერიტორიების გარეთ, რომლისთვისაც პირს უნდა ქონდეს გადახდილი **ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ საქართველოს კანონით** გათვალისწინებული გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე დაწესებული მოსაკრებელი. მოსაკრებლის გარდა ასეთ პირს უნდა ჰქონდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული სანადირო თოფის შენახვისა და ტარების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

რა არის კანონიერი და უკანონო ნადირობა?

- ნადირობა არის გარეულ ცხოველთა სპეციალური სარგებლობის ფორმით მოპოვება. ადამიანები შეიძლება ნადირობდნენ მატერიალური, რეკრეაციული და სხვა მიზნებისთვის.

სამონადირეო მეურნეობების მოწყობა შესაძლებელია დაცული ტერიტორიების მხოლოდ შემდეგ კატეგორიებში: აღკვეთილში, დაცულ ლანდშაფტში და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე. გადამფრენ ფრინველებზე ნადირობა შესაძლებელია სამონადირეო მეურნეობების გარეთაც.

- ნადირობა შეიძლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ლიცენზიის საფუძველზე, სამოყვარულო და სპორტული ნადირობის სახით. დაცული ტერიტორიების ფარგლებში ნადირობა დაიშვება მხოლოდ სპეციალურად სანადიროდ გამოყოფილ ტერიტორიაზე - სამონადირეო მეურნეობებში.
- ცხოველთა სამყაროს იმ სახეობების ჩამონათვალი, რომლებიც მიეკუთვნებიან ნადირობის ობიექტებს, განისაზღვრება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანებით.
- ნადირობა აკრძალულია ნებისმიერი სახის ასაფეთქებელი და სხვა საშუალებით, რომელიც ტანჯვას აყენებს გარეულ ცხოველს.

ნადირობის წესები, აკრძალვები და დარღვევები

ნადირობა აკრძალულია

- ნაკრძალების გარშემო გარშემო 500-მეტრიან, ხოლო ეროვნულ პარკების გარშემო 250 მეტრიან ზონაში;
- ქალაქების ადმინისტრაციულ საზღვრებში;
- იმ დაცულ ტერიტორიებზე სადაც ნადირობა მენეჯმენტის გეგმით ან დროებითი რეგულირების წესებით არ არის განსაზღვრული.

მსგავსი ქმედების ჩადენის შემთხვევაში პირი დაჯარიმდება შესაბამისი წესით.

პირი შეიძლება დაჯარიმდეს იმ შემთხვევაშიც თუ:

- მას არ აქვს ნადირობის ნებართვა ან ნადირობს ისეთ სახეობაზე, რომელიც არ არის შესული დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს N175 ბრძანებაში;
- მას არ აქვს გადამფრენ ფრინველებზე ნადირობაზე დაწესებული მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი და სანადირო თოფის შენახვა და ტარების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- არ იცავს გადამფრენი ფრინველებზე ნადირობის დღიურ ლიმიტს.

ნადირობის დროს აკრძალულია შემდეგი ქმედებები:

- ნადირობა ან ცხოველთა დაჭერა ან მათი დევნა სატრანსპორტო საშუალებებიდან;
- ნადირობა სტიქიური უბედურების დროს;
- ცხოველების ბუნაგებიდან გამოდევნა მათი შებოლვით ან დატბორვით, აგრეთვე სოროების გათხრით;
- მსხვილი ჩლიქოსნების მოპოვება მცირეკალიბრიანი სანადირო იარაღითა და საფანტით, რომლის დიამეტრიც 5 მმ-ზე ნაკლებია.

ზემოთჩამოთვლილი წესების დარღვევის შემთხვევაში სამართალდამრღვევი დაჯარიმდება და ჩამოერთმევა ნანადირევი. ასევე შეიძლება მოხდეს სანადირო იარაღის კონფისკაცია.

ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმით/ დროებითი რეგულირების წესებით ნადირობა აღნიშნულ ტერიტორიაზე საერთოდ არ დაიშვება, ნადირობის შემთხვევის აღმოჩენისას რეინჯერი ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს.

ძოვება

კონკრეტულ დაცულ ტერიტორიაზე ძოვება დაიშვება მენეჯმენტის გეგმის საფუძველზე ან დროებითი რეგულირების წესით. უნდა აღინიშნოს, რომ ძოვება ყველა გეგმით აკრძალულია შემდეგი კატეგორიის დაცულ ტერიტორიებზე: სახელმწიფო ნაკრძალებში, ბუნების ძეგლებში და ეროვნული პარკების ზოგიერთ ზონაში. მენეჯმენტის გეგმით მხოლოდ ეროვნული პარკის მართვად და ტრადიციული გამოყენების ზონაში, აღკვეთილში, დაცულ ლანდშაფტში და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებში შეიძლება დაიშვას ძოვება.

დაცული ტერიტორიების დაცვის განყოფილების თანამშრომლების უმეტესობა სამართალდარღვევად ძირითად აღიქვამენ უკანონო ხის ჭრას, ნადირობას, თევზაობას, ნიადაგის ჰუმუსოვანი ფენის მოხსნას და სხვა,. თუმცა ზემოთ ჩამოთვლილი უკანონო ქმედებების გარდა არსებობს დარღვევები, რომლებზეც რეინჯერებს ასევე მართებთ ყურადღების გამახვილება, მაგალითად, როგორიც არის უნებართვო ძოვება.

რა საფრთხეს უქმნის ძოვება დაცულ ტერიტორიებს? და რა შემთხვევაში წარმოადგენს ის სამართალდარღვევას?

უკანონო ძოვების შედეგად შეიძლება განადგურდეს ბუნების უნიკალური საფარი, წითელი წიგნში/საქართველოს წითელ ნუსხაში შესული ბალახეული მცენარეები და ტყის საფარი.

აღსანიშნავია, რომ დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ საქართველოს კანონი იცნობს ტრადიციული გამოყენების ცნებას. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ ამ ტიპის ზონაში დაშვებულია ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებით და ბუნებრივი პროდუქტიულობით ძოვება. ხოლო თუკი საძოვარს იყენებს ფერმერი, მაშინ მას სჭირდება ნებართვა და საძოვარი ტერიტორია იჯარით აღება.

2019 წლის მონაცემების მონაცემით წინა წლის მონაცემებთან შედარებით კანონდარღვევით ძოვების ფაქტები გაზრდილია. რაც არის ერთგვარი სიგნალი, რომ მეტი ყურადღება დავუთმოთ აღნიშნული სამართალდარღვევის პრევენციას.



ხე-ტყის ჭრა

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით დაცულ ტერიტორიებზე ყველაზე ხშირად ხე-ტყის უკანონო ჭრა ფიქსირდება. შესაბამისად ჩვენც განსაკუთრებული ყურადღება უნდა გავამახვილოთ მასზე. დაცულ ტერიტორიებზე არსებული ხე-ტყით სარგებლობა აკრძალულია დაცვის განსაკუთრებული რეჟიმის მქონე ტერიტორიებზე. ასეთ კატეგორიას მიეკუთვნება: სახელმწიფო ნაკრძალები, ბუნების ძეგლები, ეროვნული პარკები (გარდა ტრადიციული და მართვადი ზონისა) საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობებით დაფარულ ჯანსაღ კორომები.

რა დროს შეიძლება ტყით სარგებლობა დაცულ ტერიტორიებზე?

დაცულ ტერიტორიებზე მერქნით საგებლობა დაიშვება მენეჯმენტის გეგმით ან დროებითი რეგულირების წესის შესაბამისად და დაიშვება:

1. ადგილობრივი მოსახლეობის სათბობი შეშით მომარაგების მიზნით;
2. ტყის მოვლის ღონისძიებებიდან გამომდინარე დაავადებული ხე-მცენარეების ამოღების მიზნით;
3. სხვა ხე-მცენარეების დასარგავად ტერიტორიის გასუფთავების მიზნით.

ადგილობრივ მოსახლეობას სათბობი შეშით მომარაგების მიზნით, მისი მოპოვება შეუძლია აღკვეთილში, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე, დადაცულ ლანდშაფტსა და ეროვნული პარკების ტრადიციული გამოყენების და ბუნების მართვადი დაცვის ზონებში. ხე-ტყის მოპოვებას ადგილობრივი მოსახლეობის მიერ პირადი მოხმარების მიზნით სოციალური ჭრა ეწოდება.

იმისთვის რომ მოქალაქეს მერქნითი რესურსით სარგებლობის უფლება მიეცეს, საჭიროა პირველ რიგში ტყეკაფის გამოყოფა, ხოლო შემდეგ შეშის გაცემის პროცედურების სრული დაცვა, რისთვისაც შემდეგ ნაბიჯები უნდა გადაიდგას:

ტყეკაფის მონიშვნა და გამოყოფა

რას ნიშნავს ტყეკაფის მონიშვნა, როგორ და რისთვის ინიშნება ის?

ტყეკაფი – არის საქართველოს ტყის ფონდის განსაზღვრული ტერიტორია, სადაც გათვალისწინებულია ზეზემდგომი ან ძირნა-ყარი ხე-ტყის დამზადება. ტყეკაფის მონიშვნის მიზანია დასამზადებელი ხე-ტყის აღრიცხვა.

ტყეკაფის მონიშვნა გულისხმობს:
·ტყეკაფის გამიჯვნას მოსაზღვრე ტერიტო-რიისაგან,

·დასამზადებელი ხე-ტყის აღრიცხვას,
·ტყეკაფის აღრიცხვის უწყისის, ტყეკაფის პასპორტისა და შესაბამისი კარტოგრაფიული მასალის შედგენას.

თავდაპირველად რეინჯერმა ტყეში ისეთი ადგილიუნდა შეარჩიოს, სადაც ტყის ფონდი იძლევა ხე-ტყით სარგებლობის საშუალებას, ისე რომ ტყე არ დაზიანდეს, და იმ რაოდენობის მერქანი არ იქნას მოპოვებული, რაც წლიურ შემატებაზე მეტია. რათა შესაძლებელი იყოს ბალანსის დაცვა ბუნებრივი რესურსის თვითგანახლების პროცესისთვის,
ამისთვის ორი გზა არსებობს, თუ ტყეში ჩატარებულია ინვენტარიზაცია და შემუშავებულია ტყის მართვის გეგმა - რეინჯერი ამ გეგმით ხელმძღვანელობს და ხე-ტყის მოსაჭრელად იღებს გეგმით განსაზღვრულ შესაბამის კვარტალს და ლიტერს. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ ტყის მართვის გეგმა არ არსებობს, ან ვადა აქვს გასული, რეინჯერი ტყეში იღებს სანიმუშო ფართობს და მასზე აღრიცხავს მერქნიან სახეობებს და სხვა სატაქსაციო მაჩვენებლებს: ზომავს ხეების ტაქსაციურ დიამეტრს, ხის საშუალო სიმაღლეს, განსაზღვრავს მოცულობასა და მარაგს, სხვა საჭირო მონაცემებს, რომელზე დაყრდნობითაც ადგენს ტყის სიხშირეს. ორივე შემთხვევაში, ტყეკაფს ტყის მართვის გეგმიდან აიღებს თუ სანიმუშო ფართობიდან, აუცილებლად ველზე ამოწმებს ტყეში არსებულ მდგომარეობას და ავსებს **ტყეკაფის დათვალიერების აქტს.** თუ შეგროვებული მონაცემები იძლევა ტყით სარგებლობის საშუალებას, რეინჯერი იწყებს მოსაჭრელი ხეები მონიშვნისა და აღრიცხვის პროცედურებს.

ტყეკაფზე ჭრაში დანიშნული ხეების აღრიცხვა ხორციელდება ხის სახეობების, დიამეტრებისა და შესაბამისი ხარისხების მიხედვით. ტაქსაციური დიამეტრი იზომება სპეციალური ხელსაწყოთი (ორთითის მეშვეობით) მიწის პირიდან 130 სმ-ზე. მთიან პირობებში გაზომვა უნდა მოხდეს ფერდობის ზედა მხრიდან. ტყეკაფის აღრიცხვის უწყისში (დანართი N1) ხის მოცულობის გაანგარიშება ხორციელდება 0,01 კუბ.მ სიზუსტით.

ხე-ტყის აღრიცხვა ხდება ხის შემდეგი ხარისხების შესაბამისად.

I ხარისხის ხე	ღეროს სწორი დაუზიანებელი ნაწილის სიგრძე შეადგენს 4 მეტრს და მეტს;
II ხარისხის ხე	ღეროს სწორი დაუზიანებელი ნაწილის სიგრძე შეადგენს 4 მეტრზე ნაკლებს.

შემდეგ მოსაჭრელი ხის ფესვთან ცულით აკეთებს ჩამონათალს და აწერს რიგით ნომერს (დამღის არსებობის შემთხვევასი იდამღება). ასევე მოსაჭრელი ხის ადვილად მიგნების მიზნით, ხეს თვალთახედვის არეში, დაახლოებით 170 სმ-ზე ნიშნავს საღებავით. თვადაპირველად ინიშნება ფაუტი, ზეხმელი, ხმობადი, გადაბერებული, მრუდეღეროიანი და მავნებლებით დაზიანებული ხეები.

რეინჯერს ველზე შეგროვებული მონაცემები შეაქვს **ტყეკაფის აღიცხვის უწყისში.**

რეინჯერი, შევსებულ დოკუმენტებებს წარუდგენს დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციას, სადაც ის ერთიან მონაცემთა ბაზაში იტვირთება.

ატვირთვის შემდეგ, გამოყოფილი ტყეკაფის შესახებ მოპოვებულ მონაცემებს, ადმინისტრაციის უფროსის დავალებით, ამოწმებს ადმინისტრაციის დაცვის განყოფილება. თუკი გამოყოფილ ტყეკაფში რაიმე სახის უზუსტობა გადამოწმების შემდეგაც არ დადასტურდა, დგება ტყეკაფის **მიღება-ჩაბარების და ტყეკაფის გახსნის აქტების**, რომლთა მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში ატვირთვის შემდეგ, ტყეკაფის ტერიტორიას მიენიჭება უნიკალური ნომერი და შესაძლებელია ამ ტერიტორიიდან მერქნითი სარგებლობის დაწყება.

შეჯამებისთვის, ტყეკაფი გამოყოფილად ჩაითვლება მას შემდეგ რაც:

- ადგენილი წესით შემოწმდება მონიშვნის მასალები;

ტყეკაფის მონიშვნის მასალები

- ტყეკაფის აღრიცხვის უწყისი,
- ტყეკაფის პასპორტი,
- ტყეკაფის აბრისი UTM კოორდინატთა სისტემაში, თანდართული ელექტრონული ვერსიით – Shp-ფაილი
- შესაბამისი მართვის ორგანოს ტერიტორიული ორგანოს/ ადმინისტრაციებისათვის წარდგენადა კამერალური ან/და საველე შემოწმების შემდეგ ტყეკაფის მიღება-ჩაბარების აქტი
- გაფორმდება ტყეკაფის გამოყოფის მიღება-ჩაბარების აქტი;
- გაფორმებული აქტი აიტვითება მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში.

გამოყოფილი ტყეკაფის ათვისების დაწყება შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მართვის ორგანოს მიერ გაცემული მიღება-ჩაბარების აქტი აისახება მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში. ზოგადად, ტყეკაფის გამოყოფის, გახსნის, დახურვისა თუ გაუქმების დოკუმენტებს ექტრონულ ბაზაში ტვირთვას მართვის ორგანო.

ტყეკაფის ათვისების ვადაა მისი გამოყოფიდან ორი წელი. ამ ვადის გასვლის შემდგომ, ტყეკაფი უქმდება, იმის მიუხედავად, სრულად მოხდა მისი ათვისება, თუ არა.

აღსანიშნავია, რომ სოციალური ჭრების შემთხვევაში ტყეკაფის მონიშვნის მასალების წარდგენა ხორციელდება მართვის ორგანოს ტერიტორიულ სამსახურებში/ ადმინისტრაციებში ტყეკაფის გამოყოფაზე უფლებამოსილი პირის მიერ (უფროსი რეინჯერი, რეინჯერი ან დაცვის განყოფილების თანამშრომელი). სოციალური ჭრის შემთხვევაში ტყეკაფი გამოიყოფა ტყეკაფის პასპორტის გამოწერით, რომელიც ხელმოწერით დასტურდება მართვის ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ.

რა უნდა ეწეროსტყეკაფის პასპორტში?

- მართვის ორგანოს დასახელება;
- სანებართვო დოკუმენტის ნომერი და გაცემის თარიღი;
- ტყითმოსარგებლის რეკვიზიტები;
- ტყეკაფის GPS კოორდინატები;
- ტყეკაფის მონიშვნის მასალების წარდგენის თარიღი;
- ინფორმაცია ტყეკაფის მომნიშნავი პირების შესახებ
- ტყეკაფის ათვისების თარიღი;
- ტყეკაფის დახურვის ან ტყეკაფის გაუქმების თარიღი;

- სატყეო უბნი;
- სატყეო;
- კვარტალი;
- სატაქსაციო უბნის;
- ტყეკაფის ფართობი;
- კორომის შემადგენლობა; ხნოვანება, სიხშირე, სიმაღლის თანრიგი, მოზარდ აღმონაცენის მდგომარეობა;
- ჭრის სახე;
- მონიშნულ ხეთა რაოდენობა;

- მონიშნული ხეების სახეობა, და მათი დიამეტრი;
- ხის ხარისხი (კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში – საშეშე, სამასალე მერქნის), გასაცემი მერქნის მოცულობი (საქმისი მერქანი-ლიკვიდური, შეშა ვარჯიდან), მოცულობა ხის ხარისხების მიხედვით;
- მთლიანი მოცულობა.

აუცილებელი პირობაა, რომ ხე-ტყის დამზადებისას ცდომილება ფაქტობრივად დამზადებულ ხე-ტყესა და ტყეკაფის აღრიცხვის მასალებში არსებულ მონაცემებს შორის არ აღემატებოდეს 10%-ს. ამაში არ მოიაზრება ძირნაყარი და ნახანძრალი ხე-ტყე.

შეშის გაცემის პროცედურები

როდესაც ადგილობრივი მოსახლე შეშის მოპოვების მიზნით რეინჯერს მიმართავს. რეინჯერი მას აცნობს მის დაქვემდებარებაში არსებულ ყველა გახსნილ ტყეკაფს.მოქალაქე ირჩევს მისთვის სასურველ მათგანს, იგებს ამ ტყე-კაფის უნიკალურ კოდს და მიდის ბანკში. მოსაჭრელი ხე-ტყის ოდენობის შესაბამისად ბანკში იხდის რესურსის მოსაკრებლისა და მომსახურეობის თანხას.

ამის შემდგომ ბანკი გასცემს **ხე-ტყის დამზადების დოკუმენტს**, რომელიც წარმოადგენს ხე-ტყის ჭრის სანებართვო საბუთს.

მას შემდეგ რაც მოქალაქეს უკვე აქვს ხე ტყის დამზადების დოკუმენტი, ის კვლავ მოდის რეინჯერთან. რეინჯერი კი ვალდებულია, მოქალაქეს მიუთითოს და აჩვენოს ტყეკაფში მისთვის გამოყოფილი ხე-ტყე, რათა შეცდომით ან გაუფრთხილებლობით არ მოხდეს დაუნომრავი ხე-ტყის მოჭრა. იმისთვის, რომ მერქნის მოპოვება კანონიერად ჩაითვალოს, რეინჯერმა უნდა გადაამოწმოს მოპოვებული შეშის მონაცემები ხე-ტყის დამზადების დოკუმენტთან მიმართებაში და მისი ტრანსპორტირების დაწყებამდე შეავსოს ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი.

წარმოშობის დოკუმენტი, მისი შევსებისა და გაცემის წესი

ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმა საქართველოს „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ კანონით განისაზღვრება. ეს დოკუმენტი ადასტურებს ხე-ტყის კანონიერ წარმოშობას. დოკუმენტის ყველა რეკვიზიტი ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემაზე უფლებამოსილი პირის მიერ ივსება და მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა მათ სისწორეზე; დოკუმენტი დადგენილი წესით უნდა შეივსოს ხე-ტყის დამზადების ადგილზე. ხე-ტყის მორთრევის შემთხვევაში დოკუმენტი ივსება ხე-ტყის სატრანსპორტო საშუალებაზე დატვირთვის ადგილზე. **აღნიშნული დოკუმენტი აუცილებლად უნდა შეივსოს ხე-ტყის ტრანსპორტირების დაწყებამდე.**

დოკუმენტის ფორმას ბეჭდავს ტყის ეროვნული სააგენტო. ის უნდა შეივსოს ბურთულიანი კალმით, რა დროსაც ნაწერი ზედაპირიდან კოპირებით გადადის მეორე ფურცელზე. დოკუმენტის პირველი პირი რჩება უფლებამოსილ პირს, ხოლო მე-2 ეგზემპლარი გადაეცემა ხე-ტყით მოსარგებლეს ან გადამზიდავ პირს. თუმცა აუცილებლად, უნდა გვახსოვდეს, რომ მათთვის არასრულად შევსებული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გადაცემა ან დოკუმენტში რაიმე შესწორების შეტანა დაუშვებელია.

იმისთვის, რომ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი აისახოს შესაბამის ბაზაში, დოკუმენტის გამცემმა ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი უნდა წარადგინოს დაცული ტერიტორიისადმინისტრაციაში.

სოციალური ჭრის საფუძველზე მოპოვებულ მერქნის **ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის** გამცემი უფლებამოსილი პირი ვალდებულია, ამ დოკუმენტის შევსებამდე და სატრანსპორტო საშუალებაზე შეშის დატვირთამდე შეასრულოს შემდეგი მოქმედებენბი:

- I ხარისხის ხიდან მიღებული მრგვალი ხე-ტყის (მორის) **მარკირება** სპეციალური ფირნიშით, გარდა ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;
- I ხარისხის ხიდან მიღებული იმ მერქნული რესურსის 1 მეტრამდე **დაკოტრვა**, რომლის მარკირებაც არ განხორციელდა ხე-ტყით მოსარგებლის მოთხოვნით;
- II ხარისხის ხიდან მიღებული მერქნული რესურსის 1 მეტრამდე **დაკოტრვა**, გარდა ხე-ტყის ცოცხალი გამწევი ძალით მორთრევისა.

ჭრის შედეგად მიღებული ნარჩენების განთავსება

ჭრის შედეგად მიღებული ნარჩენების განთავსება შეიძლება მოხდეს სხვადასხვა ხერხით. განთავსების მეთოდს არჩევს მართვის ორგანო. ნარჩენების განთავსებით მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს ფერდობებზე ეროზიის კერების წარმოშობა. ნარჩენების განთავსების ფორმის არჩევისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი პირობების. მაგალითად: ეროზიისგან დაცვის მიზნით შესაძლებელია ნარჩენების დაწყობა მორსართავ ბილიკებზე; ენტომომვნებლების და ფიტოდაავადებების გავრცელების აღკვეთის მიზნით ნარჩენების დაწვა; ასევე, შეიძლება ნარჩენების ფერდობზე თანაბრად გაბნევა, მოსახლეობისთვის შეშად დარიგება ან თუ შეშად გამოუსადეგარია ხურგებად დაწყობა და ა.შ

ზოგიერთ შემთხვევაში ნარჩენების განთავსება ტყეკაფზე ან ტყეკაფის გარეთ ხორციელდება მართვის ორგანოს მიერ მითითებულ ადგილზე. რაც ხე-ტყის გა-მოზიდვამდე უნდა მოხდეს.

უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყის აღრიცხვა და ზიანის გაანაგარიშება

ტყეზე მიყენებული ზიანის გგამოთვლა ხდება მოცულობითი ცხრილებით. მის შესავსებად საჭიროა ვიცოდეთ ოთხი ძირითადი მონაცემი: ხის სახეობა, მისი ტაქსაციური დიამეტრი, სიმაღლე და სიმაღლის თანრიგი.

სიმაღლის დადგენა:

1. თუ ხე ადგილზეა დატოვებული - ხის სიმაღლე დადგინდება მისი სიგრძის გაზომვით, ძირკვის ფესვის ყელიდან ხის კენწორემდე. ამისთვის გამოიყენება საზომი ბაფთა.

2. თუ ხიდან ამოჭრილი და წაღებულია სამასალე ნაწილი - ჯერ იზომება ძირკვის სიმაღლე, შემდეგ ადგილზე დატოვებული ვარჯის სიგრძე, შემდეგ ყურადღება უნდა მიექცეს ადგილზე დარჩენილ კვალს. კვალი (ნახერხი), იქნება ამოჭრილი სამასალე ნაწილის ორივე მხარეს, შეაბამისად, იზომება ამ ნახერხებს შორის მანძილი. სამივე სიგრძის ჯამი იქნება ხის სავარაუდო სიმაღლე. გადამოწმებისთვის, შესაძლებელია მოჭრილი ხის გვერდით არსებული იმავე სახეობის ხის გაზომვა.

3. თუ ხის მხოლოდ ვარჯის ნაწილი იქნა დატოვებული, ან თუ ხე მთლიანად იქნა წაღებული ასეთ შემთხვევაში ხის სიმაღლეს იზომება იქვე მდგომი იმავე სახეობის ხეების სიმაღლეების და ტაქსაციური დიამეტრის შესაბამისობის გათვალისწინებით;
იმ შემთხვევაში კი თუ იმავე სახეობის ხეები არ ფიზიკურად არ არის, მაშინ მონაცემები ამ ხეების შესახებ მოძიებული უნდა იქნას ამ სატყეო უბნის ან ტერიტორიის ამ ნაწილის სატაქსაციო აღწერის წიგნებში.

სახეობის დადგენა:
ხის სახეობა უწყისში მოჭრილი ხის ძირკვის მიხედვით იწერება.

ხის ტაქსაციურ დიამეტრი:
თუ ხე ადგილზეა - ორთითის დახმარებით იზომება ძირკვის ფესვის ყელიდან ხის ღეროს 1,3 მეტრის მანძილზე არსებულ მონაკვეთზე. თუ ხე ადგილზე არ არის მაშინ მონაცემები მოძიებულ უნდა იქნას შესაბამის ცხრილებში ან გამოთვალოს შესაბამისი ფორმულით;

ხის სიმაღლის თანრიგის დადგენა:
ხის სიმაღლის თანრიგი და მოცულობა იანგარიშება სპეციალური ცხრილებიდან მას შემდეგ რაც ტყეში ან ტყის პირებზე ან ტყეკაფზე აღმოჩენილი იქნება ცალკე მდგომი მოჭრილი ხეები, საველე მასალების მოგროვებით უნდა დაიწყოს ზიანის დაანგარშება. რეინჯერი აღრიცხავს მონაცემების დააკეთებს ჩანაწერებს. ზიანის გამოთვლის დროს მიზანშეწონილია ზიანის გაანგარიშების უწყისში თითოეულ მერქნიან სახეობაზე ზიანი ცალ-ცალკე იყოს დათვლილი.

ზიანის გაანგარიშების მეთოდიკა
ტყის რესურსებზე უკანონო ქმედებით გარემოსათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) წესი მოცემულია საქართველოს მთავრობის N54 დადგენილებით დამტკიცებულ რეკლამენტს მე-5 მუხლში („გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა“).

გთავაზობთ რეგლამენტის რამდენიმე პუნქტს:

- თუკი ტყის რესურსებზე უკანონო ქმედება ხდება დაცულ ტერიტორიებზე, ან საქმე ეხება წითელ ნუსხაში შეტანილ სახეობებს ზიანი ორმაგად ანგარიშდება.
- თუ უკანონოდ მოპოვებული (მოჭრილი) ხე-ტყე სამართალდარღვევის ადგილიდან უკვე წაღებულია, ხის ტაქსაციური დიამეტრის დადგენისთვის გამოიყენება ფესვის ყელის და ტაქსაციური დიამეტრის ურთიერთდამოკიდებულების გამოსახულება. (გამოიანგარიშება შესაბამისი ცხრილებით ან ფორმულით).
- თუ უკანონოდ მოპოვებული (მოჭრილი) ხე-ტყე წაღებულია და ჯირკის გადანაჭერზე შეინიშნება ხმობის, ფაუტიანობის ან ღრუიანობის ნიშნები, გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრა ხდება მე-10 დანართის მე-7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხოლო სხვა შემთხვევებში ამავე დანართის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.
- თუკი უკანონოდ მოპოვებული მერქნის რაოდენობა ცნობილია, თუმცა მისი ჩამორთმევა შეუძლებელია, გაანგარიშებულ ზიანის თანხას ემატება, ხის შესაბამისი მერქნული რესურსის სარგებლობისათვის დაწესებული მოსაკრებლის ერთმაგი ოდენობა
- ტყის რესურსებზე უკანონო ქმედებებისას, გარემოსათვის მიყენებული ზიანის თვალსაზრისით, მნიშვნელოვან კანონდარღვევად ითვლება ის შემთხვევა, როდესაც მიყენებული ზიანი შეადგენს 1000 (ერთი ათასი) ლარს ან მეტს. რაც წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს.

დაცულ ტერიტირიებზე ხე-ტყის უკანონო ჭრა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში

საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 641 მუხლის პირველი ნაწილით გათვალსიწინებულია, რომ დაცული ტერიტორიებზე მერქნიან მცენარეთა უკანონო გაჩეხვის და დაზიანების შემთხვევაში დაჯარიმდება როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირი1 500 ლარით. დამრღვევს ჩამოერთმევა მოპოვებული მერქნული რესუსრი და შესაძლებელია მოხდეს სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციაც. ამავე მუხლის მეორე ნაწილით, მოქალაქე დაჯარიმდება 2000 ლარით, ჩამოართმევენ მოპოვებულ მასალასა და კანონდარღვევის იარაღს თუკი მსგავს ქმედებას ჩაიდენენ ისეთ ტერიტორიებზე, როგორიცაა:

- სახელმწიფო ნაკრძალი,
- ·ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონა,
- ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონა,
- მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორია.
- ჯარიმის იგივე რაოდენობა ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუკი უკანონო ქმედებით მოპოვებულია ან დაზიანებულია ანსაქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობები.

ტყით სარგებლობის სახეები

ტყის ფონდით სარგებლობის წესებისა უკეთ გააზრებისთვის, გავეცნოთ ტყით სარგებლობის სახეებს.

არსებობს ტყით სარგებლობის რამდენიმე სახეობა: სოციალური ჭრა, მთავარი სარგებლობის ჭრა, მოვლითი ჭრა, და ა.შ. მოდით განვიხილოთ ისინი.

სოციალური ჭრა

ტყის ფონდის ტერიტორიაზე სოციალური ჭრა დაიშვება არაკომერციული მიზნით, მხოლოდ მოსახლეობის სათბობი შეშით უზრუნველყოფისთვის.

აკრძალულია სოციალური ჭრის საფუძველზე მოპოვებული ხე-ტყის ან მისგან მიღებული პირველადი გადამუშავების პროდუქტის ნებისმიერი ფორმით გასხვისება;

სოციალური ჭრების ფარგლებში დამზადებას ექვემდებარება მერქნიანი მცენარეები, გარდა წითელი ნუსხით დაცული სახეობებისა. თუმცა არსებობს გამონაკლისი. მაგალითად, თუკი წითელი ნუსხით დაცული სახეობის რომელიმე ხე არის: მოთხრილ-მოტეხილი, ძირნაყარი, ზეხმელი, ფაუტი, ხმელი, მავნებლებით ძლიერ დაავადებული და ხმობადი მათი სოციალური ჭრა სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე დაშვებულია.

მთავარი სარგებლობის ჭრის სახეები

მთავარი სარგებლობის ჭრები ძირითადად ხის მასალის მოპოვების მიზნით ტარდება მწიფე და მწიფეზე უხნესი ტყის უბნებში. მისი სახეობებია:

- პირწმინდა,
- თანდათანობითი,
- ჯგუფურ-ამორჩევითი,
- ნებით ამორჩევითი ჭრები.

დაცულ ტერიტორიების I-IV კატეგორიებში მთავარი სარგებლობის ჭრები აკრძალულია

მოვლითი (შუალედური) ჭრები

დაცულ ტერიტორიებზე ჯანსაღი და მდგრადი კორომების ჩამოყალიბებისთვის პერიოდულად ტარდება მოვლითი ჭრები.

მოვლითი ჭრების ძირითად ამოცანას შეადგენს:

- ნიადაგდაცვითი და წყალმარეგულირებელი და სხვა სასარგებლო ფუნქციების შენარჩუნება-გაძლიერება;
- კორომების სახეობრივი შემადგენლობის და აღნაგობის გაუმჯობესება;
- კორომების სანიტარული მდგომარეობის და ხარისხის გაუმჯობესება.

მოვლითი ჭრის სახეები

სანიტარული ჭრა

სანიტარიული ჭრა სატყეო-სამეურნეო ღონისძიებაა, რომლის უმთავრეს მიზანს ტყის პროფილაქტიკა, ანუ **ფიტოსანიტარიზაცია** წარმოადგენს. ტყის სანიტარიული ჭრა მავნებლებისა და დაავადებების გავრცელების ხასიათისა და მასშტაბების შესაბამისად, შეიძლება იყოს **ამორჩევითი** ან **პირწმინდა**.

იხილეთ ცხრილი შემდეგ გვერდზე

მოვლითი ჭრის სახეები:

მოვლითი ჭრის სახეები	ტყის მახასიათებელი	დანიშნულება
განათებითი ჭრა კორომის სიხშირე არ უნდა იქნეს დაყვანილი 0.6-ზე ქვეევით.	ასაკი -10 წლამდე სიხშირე - 0,7 და მეტი 35°-მდე დაქანების ფერ-დობებზე.	არასასურველი მერქნიანი სახეობებისა და ეგზემპლარების, ასევე ბალახის საფარის მოცილებით, მერქნიან მცენარეთა სახეობრივი შემადგენლობის რეგულირებისა და ზრდის პირობების გაუმჯობესება
გაწმენდითი ჭრა კორომის სიხშირე არ უნდა იქნეს დაყვანილი 0.6-ზე ქვეევით.	წელი- 20, სიხშირე 0,7 და მეტი 35°-მდე დაქანების ფერ-დობებზე. შერეული კორომი	არასასურველი სახეობის ხეების მოჭრით, ამ ადგი-ლისათვის დამახასიათებელი სახეობის ხეებისათვის ზრდის პირობების გაუმჯობესება
გამოხშირვითი ჭრა კორომის სიხშირე არ უნდა იქნეს დაყვანილი 0.6-ზე ქვეევით.	წელი 60 -მდე სიხშირე - 0,7 და მეტი 35°-მდე დაქანების ფერ-დობებზე.	ხეების ღეროებისა და ვარჯების სასურველი ფორმის მისაღებად აუცილებელი პირობების შექმნა, ზრდაში ჩამორჩენილი, მრუდეღეროიანი და დაზიანებული ხეების მოჭრით
გავლითი ჭრა კორომის სიხშირე არ უნდა იქნეს დაყვანილი 0.6-ზე ქვეევით.	წელი 61 და მეტი. სიხშრე 0,7 და მეტი. 35°-მდე დაქანების ფერ-დობებზე.	ხეებისათვის მერქნის შემატების პირობების გაუმჯო-ბესება გადაბერებული, დაზიანებული, მრუდეღე-როიანი და ჭრისათვის მიზანშეწონილი სხვა ხეების მოჭრით
სანიტარიული ჭრა	ყველა კორომში ხორციელდება, მიუხედავად მისი შემადგენლობის, ხნოვანებისა თუ სიხშირისა.	კორომების სანიტარიული მდგომაროების გაუმჯობესებისთვის, ზეხმელი, ხმობადი, ძლიერ ფაუტი და მავნებლებით ძლიერ დაზიანებული ხეების მოჭრა, გადაბერებული თავღორი ხეების გამოღება;
სარეკონსტრუქციო ჭრა		ტყის აღდგენის პროექტის შესაბამისად, სახეობრივი და სტრუქტურული შემადგენლობის გაუმჯობესების მიზნით, მცენარეების მოჭრა ისე, რომ გარანტირებული იყოს განთავისუფლებულ ფართობზე ტყის აღდგენა

მთის ტყეებში ძირითადად, ამორჩევითი სანიტარიული ჭრა ხორციელდება. ტყეში საშიში მავნებლებისა და დაავადებების მასობრივი და ინტენსიური გავრცელების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად კი ზოგჯერ ხორციელდება პირწმინდა სანიტარიული ჭრა.

სანიტარული ჭრა უნდა განხორციელდეს სპეციალური გამოკვლევისა და წინასწარი აღრიცხვის საფუძველზე. სანიტარიული ჭრით გარემოდან ამოღებული, ხმელი, ხმობადი და ძირნაყარი ხეები, ასევე ხე-ტყის ნარჩენი უნდა იქნეს გამოტანილი ტყიდან.
სანიტარიულ ჭრას, როგორც სამეურნეო ღონისძიებას მიეკუთვნება:

- ტყის გაწმენდა ზეხმელი და მოთხრილ-მოტეხილი ხეებისაგან;
- ტყის მეორადი მავნებლებით დასახლებული (დაზიანებული) ხეების ჭრა;
- იმ ხეების ჭრა, რომლებიც მავნებლების ე.წ. ,,დამჭერ" ხეებად იქნება გამოყენებული;
- ხანძრით დაზიანებულ კორომებში დამწვარი ხეების ჭრა;
- სოკოებით ძლიერ დაზიანებული ხეების ჭრა;
- უკენწერო, წვერხმელი ხეებისა და აგრეთვე მექანიკურად ძლიერ დაზიანებული, გახმობის პირას მისული ხეების ჭრა;

მოვლითი ჭრის შესახებ
გასათვალისწინებელი ინფორმაცია

მოვლითი ჭრის მეთოდებით მოსაჭრელი ხეები გამოიყოფა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.მისი ინტენსივობა უნდა დადგინდეს კორომის სატაქსაციო მაჩვენებელთა საფუძველზე. მოვლითი ჭრის დროს მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ რომ არ დაზიანდნენ რჩეული ხეები.მაგალითად, გავლითი, გამოხშირვითი და გაწმენდითი ჭრე-ბის დროს, დაუნიშნავი ხეების სასიცოცხლო ფუნქციების შეწყვეტით დაზიანება არ უნდა აღემატებოდეს დარჩენილი ხეების 3%-ს.
გასათვალისწინებელია, რომ:

- ტყის პირებში 50 მ-მდე და ტყის გავრცელების ზედა ზღვრის 300-მეტრიან სუბალპურ ზოლში დასაშვებია მხოლოდ სა-ნიტარიული ჭრის ჩატარება;
- მოვლითი ჭრების განხორციელებისას დაუშვებელია მოთრევა ტოტებშეუჭრელად;
- მოვლითი ჭრებით ხე-ტყის დამზადება 300-ზე მეტი დაქანების ფერდობზე დაიშვება მხოლოდ საბაგირო ტექნოლოგიებისა და ცოცხალი გამწევი ძალის მეშვეობით;
- ჭრის ინტენსივობა სიხშირეების მიხედვით განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) 0.7 სიხშირის კორომებში _ არა უმეტეს 10%-ისა;
ბ) 0.8 სიხშირის კორომებში _ არა უმეტეს 15%-ისა;
გ) 0.9 და მეტი სიხშირის კორომებში _ არა უმეტეს 20%-ისა.

დარღვევის ტიპები (ადმინისტრაციული თუ სისხლის სამართალი)

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ რეინჯერებს ყოველდღიურ რეჟიმში არაერთ სამართალდარღვევაზე უწევთ რეაგირება. იმის მიხედვთ თუ რა სიმძიმისაა მოქალაქის უკანონო ქმედება, პირს შეიძლება დაეკისროს ადმინისტრაციული ან და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას შორის მთავარი განსხვავებებია:

- **იურდიული შედეგი;**
- **გენმეორობითობა/არაერთგზისობა;**
- **ქმედების ჩადენის ადგილი;**
- **მიყენებული ზიანის ოდენობა;**
- **ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება.**

როგორ უნდა განვასხვავოთ მოქალაქის ქმედება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს თუ შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს?

როგორც უკვე ვნახეთ დანაშაული და ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც ქმედების სიმძიმის, ასევე შესაძლო იურიდიული შედეგების მიხედვით.

ახლა დავუბრუნდეთ დაცულ ტერიტორიებზე დაფიქსირებულ უკანონო შემთხვევებს და განვიხილოთ

მოქალაქეს 2020 წლის ივლისში დაეკისრა ადმინისტრაციული სახდელი დაცულ ტერიტორიებზე უკანონო თევზაობისთვის. 2020 წლის ოქტომბერში ის კვლავ თევზაობდა თვითნაკეთი ელექტრონული ხელსაწყოთი. პატრულირების დროს რეინჯერმა შეამჩნია და მოახდინა შესაბამისი რეაგირება. რა ტიპის პასუხისმგებლობა დაეკისრება გ.მ-ს აღნიშნული ქმედებისთვის?

ახლა დავუბრუნდეთ დაცულ ტერიტორიებზე დაფიქსირებულ უკანონო შემთხვევებს და განვიხილოთ მაგალითი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 86-ე მუხლის მერვე ნაწილის თანახმად თვითნაკეთი ელექტრონული ხელსაწყოთი თევზაობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას. რაც იწვევს სამართალდამრღვევის დაჯარიმებას 2000 ლარიდან 4000 ლარამდე.

ზუსტად იდენტურ ქმედების კრიმინალიზაციას ახდენს სისხლის სამართლის კოდექსის მე-300 მუხლის პირველი ნაწილი. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა წარმოიშობა თუ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 86-ე მუხლის მერვე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია, ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ. შესაბამისად მოცემულ შემთხვევაში ქმედების **გენმეორობითობა/არაერთგზისობა** გვევლინება მთავარ განმასხვავებელ ნიშნად.

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი

მოქალაქე ე.კ. მომწამვლელი ნივთიერებით ითევზავა სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე. ხოლო მოქალაქე კ.ვ-მ აღკვეთილის ტერიტორიაზე. როგორ ფიქრობთ იდენტური იქნება მიმართ სასჯელი?

სისხლის სამართლის მე-300 მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა მკაცრდება თუ ქმედება ჩადენილია სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის ან მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის და **საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში.**

შემდეგი მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანია მიყენებული ზარალის ოდენობა. საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით ტყის რესურსებისათვის, ასევე სახელმწიფო ტყის ფონდისათვის უკანონო ქმედებით ზიანის მიყენებისას, გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანი განისაზღვრება ათასი (1000) ლარით და ზევით.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ლ.ბ-მ პირადი მოხმარებისთვის მოჭრა მერქნიანი მცენარეები. აღნიშნული ფაქტი აღმოჩენილ იქნა პატრულირების ჯგუფის მიერ. გამოანგარიშების შედეგად დადგინდა, რომ ლ.ბ-ს ქმედების შედეგად გარემოს მიადგა 950 ლარის ოდენობის ზიანი. როგორი ტიპის პასხისმგებლობა დაეკისრება მოქალაქე ლ.ბ-ს?

- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 641-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს დაცული ტერიტორიების დადგენილი საზღვრების ფარგლებში მერქნიან მცენარეთა უკანონო გაჩეხვა და დაზიანება. ამ შემთხვევაში ჯარიმის **ოდენობაა 500 ლარი.**

- სისხლის სამართლის კოდექსის 303-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად დანაშაულს წარმოადგენს ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვა, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი, რაც ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით 3 (სამ) წლამდე.

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ რაც უფრო იზრდება ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება და ქმედება ჩადენილია განსაკუთრებული დაცვის მქონე ტერიტორიაზე, მით უფრო მძიმდება სასჯელი.

WWW.APA.GOV.GE

დაცული ტერიტორიების სააგენტო
AGENCY OF PROTECTED AREAS

GO RANGERS!

WWW.APA.GOV.GE

დაცული ტერიტორიების სააგენტო
AGENCY OF PROTECTED AREAS